კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

ფინედუ

ინფორმაცია კონკურსანტის შესახებ	
სკოლის დასახელება	**კონკურსანტი მასწავლებლის სახელი, გვარი, პოზიცია**
სსიპ ქალაქ ბათუმის N16 საჯარო სკოლა	ინგა გეგეშიძე

ინფორმაცია ბიბლიოთეკის საჭიროებაზე	
აღწერეთ, რატომ გსურთ სკოლის ბიბლიოთეკაში „ფინედუს“ კუთხის დამატება • რატომ არის მნიშვნელოვანი სკოლაში „ფინედუს“ კუთხის გახსნა? • როგორ შეუწყობს ხელს „ფინედუს“ კუთხე სკოლას და განათლების პროცესს? • რა შეუწყობს ხელს მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, აქტიურად გამოიყენონ „ფინედუს“ კუთხის მასალები?	ფინანსური განათლება დღევანდელ მსოფლიოში ისეთივე აუცილებელია, როგორც წერა და კითხვა. „ფინედუს“ კუთხე გახდება სივრცე, სადაც მოსწავლეები თამაშით, კითხვით და პრაქტიკული აქტივობებით ისწავლიან ფულის მართვას, დაზოგვასა და დაეხმარება ბავშვებს ადრეული ასაკიდან ჩამოუყალიბდეთ პასუხისმგებლიანი ფინანსური ქცევა. ეს კუთხე იქნება მასწავლებლებისთვის ინსპირაციის წყარო ინტერაქტიური გაკვეთილებისთვის და მოსწავლეებისთვის – შესაძლებლობა, პრაქტიკაში გამოსცადონ ფორმალური განათლების პროცესში მიღებული ცოდნა. დიზაინი იქნება მოსწავლეების მიერ შექმნილი, მასალები – QR-კოდებით წვდომადი, აქტივობები – თამაშებზე და გამოწვევებზე დაფუძნებული. პლუს – იფუნქციონირებს „ფინედუს კლუბიც“, რომელიც თვითონ მოსწავლეები წარუძღვებიან.

ინფორმაცია ჩასატარებული პროექტის/აქტივობის შესახებ

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

პროექტის /აქტივობის დეტალები	**ქვემოთ მოცემულ ველებში დეტალურად აღწერეთ პროექტი/აქტივობა, რომელსაც განახორციელებთ/დააინიცირებთ „ფინედუს“ მასალების გამოყენებით 2025 წლის 20 დეკემბრამდე.** • **შეგიძლიათ აღწეროთ როგორც ხანგრძლივი პროექტი, მაგ.: ფინანსური განათლების კლუბის შექმნა, სემესტრული კონკურსები, მასალების სხვა საგნებში ინტეგრირება და სხვ. ასევე, კონკრეტული, ერთჯერადი აქტივობები, მაგ.: ტრენინგი, დისკუსია და სხვ.** • **განგრძობით პროექტებში ინიცირება გულისხმობს პირველი აქტივობის ჩატარებას.**
მიზნობრივი სეგმენტი *(მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები ან სხვ)*	პროექტის პირველ ეტაპზე – VII–IX კლასის მოსწავლეები, რომლებიც იქნებიან კლუბის წევრები და აქტივობების წამყვანები. შემდგომ ეტაპზე – მასწავლებლები, რომლებიც გამოიყენებენ „ფინედუს“ მასალებს საგაკვეთილო პროცესში.
ადგილი, ხანგრძლივობა, ჯერადობა	სკოლის ბიბლიოთეკა
ინდივიდუალურად განახორციელებთ თუ სხვა პირის ან ორგანიზაციის ჩართულობით (თუ სხვაც ჩაერთვება, პერსონალური მონაცემების მითითების გარეშე),მოკლედ აღწერეთ რა დანიშნულებით/ფუნქციით ჩაერთვება	პროექტს ინდივიდუალურად დავიწყებ, თუმცა მასში ჩაერთვება ბიბლიოთეკარი (რესურსების მართვის მიზნით) და მოსწავლე-მენტორები (მომავალი აქტივობების თანამონაწილეობისთვის).
პროექტის/აქტივობის აღწერა *(მიუთითეთ ყველა რელევანტური ინფორმაცია პროექტის იდეის შესაბამისად: რაში მდგომარეობს იდეა, როგორ წარიმართება შეხვედრა/შეხვედრები, რა სტრუქტურით და თანმიმდევრობით განიხილავთ თემებს, რა სავარუდო თემები დაიფარება, რა მეთოდებს გამოიყენებთ და როგორ დაუკავშირებთ ფინანსურ განათლებას, რამდენი მონაწილე ჩაერთვება, პროექტი განგრძობითია თუ ერთჯერადი)*	პროექტის ფარგლებში შეიქმნება **„ფინედუს ლიდერთა კლუბი“**, რომელიც მოიცავს VII–IX კლასის მოტივირებულ მოსწავლეებს. კლუბის წევრები ეტაპობრივად შეისწავლიან ფინანსურ თემებს „ფინედუს“ მასალების საფუძველზე და ჩაერთვებიან ინტეგრირებულ აქტივობებში. **პირველი ეტაპი – შეხვედრა და კლუბის ინიცირება:** • გაცნობა „ფინედუს“ რესურსებთან; • პრაქტიკული დავალება „სურვილები vs საჭიროებები“; • ქეისების თამაში – როგორ ვიღებთ ფინანსურ გადაწყვეტილებებს; • კლუბის წევრთა დარეგისტრირება და როლების გადანაწილება; • იდეის წარდგენა – **ანიმაციური წიგნის შექმნა** ბავშვებისთვის.

შემდგომი შეხვედრები – თემების თანმიმდევრობა და აქტივობები:

1. პირადი ბიუჯეტი და დაზოგვის კულტურა
2. სესხის მნიშვნელობა და რისკები
3. პასუხისმგებლიანი მომხმარებელი – რეკლამის გავლენა
4. ციფრული საფრთხეები ფინანსებში
5. ფულის მართვა რეალურ ცხოვრებაში
6. ანიმაციის სცენარის დაგეგმვა და ილუსტრაციების შექმნა
7. წიგნის გადატანა ციფრულ ფორმატში – ხმოვანი ეფექტები, მოძრავი ელემენტები
8. დასრულებული ანიმაციური წიგნის წარდგენა სკოლაში ან სხვა სკოლებისთვის

მეთოდები:

- გუნდური მუშაობა, ქეისების ანალიზი
- ვიზუალური მასალების შექმნა
- სცენარის წერა და ილუსტრირება
- ტექნოლოგიური პლატფორმების გამოყენება (მაგ. Canva, StoryJumper, Book Creator და სხვა)

მონაწილეთა რაოდენობა:
20 მოსწავლე;
ანიმაციური წიგნის წარდგენაში – მთელი სკოლა ჩაერთვება, შესაძლებელია სხვა სკოლებშიც გაზიარება.

საბოლოო პროდუქტი:
ინტერაქტიული ანიმაციური წიგნი ფინანსური წიგნიერების შესახებ, რომლის მთავარი გმირებიც კლუბის წევრების მიერ შექმნილი პერსონაჟები იქნებიან. წიგნი შერწყმული იქნება ყოველდღიური ცხოვრებიდან აღებული სიტუაციები და პრაქტიკული ფინანსური რჩევები ბავშვებისთვის.

კონკურსის „ფინედუ კუთხე სკოლის ბიბლიოთეკაში"ფარგლებში ჩატარებული აქტივობის წარდგენის ფორმა

	პროექტის ტიპი: განგრძობითი (დაწყებული ერთჯერადი შეხვედრით, რომელიც გადადის შემოქმედებით გუნდურ პროცესში)
შედეგი, რომელიც დადგება პროექტის/აქტივობის შემდეგ *(მიუთითეთ, როგორ გაზომავთ პროექტის განხორციელების შედეგს ან რითი შეაფასებთ პროექტის წარმატებას)*	**პროექტის შედეგად მოსწავლეები:** • გაიღრმავებენ ცოდნას ფინანსური წიგნიერების ძირითადი თემების შესახებ (ბიუჯეტი, დანაზოგი, სესხი, რეკლამა, ონლაინ უსაფრთხოება) • განავითარებენ პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების, გუნდური მუშაობის და კრეატიული თვითგამოხატვის უნარებს; • შექმნიან ინოვაციურ საგანმანათლებლო პროდუქტს — **ანიმაციურ წიგნს** • გახდებიან ფინანსური განათლების „ელჩები“ თანატოლებისთვის, მასწავლებლებისა და მშობლებისთვის. **შეფასების/ზომის მეთოდები:** • პრე და პოსტ ტესტების შედარება ცოდნის ზრდის გამოსავლენად • მონაწილეთა გამოკითხვა პროექტში ჩართულობის ხარისხისა და მიღებული გამოცდილების შესახებ • ანიმაციური წიგნის წარდგენა და უკუკავშირის მიღება სხვა კლასებისა და მასწავლებლებისგან • პროდუქტზე სკოლის მხრიდან ან სხვა სკოლების დაინტერესების დაფიქსირება (გადაზიარება, გამოყენება გაკვეთილებზე)

	• აქტიური კლუბის შენარჩუნება და მისი მასშტაბირება
დაახლოებით როდის გეგმავთ პროექტის ორგანიზებას/განგრძობითი პროექტის შემთხვევაში ინიცირებას	პროექტის ინიცირება დაგეგმილია 2025 წლის სექტემბერში, სასწავლო წლის დაწყებისთანავე, ხოლო ძირითადი ეტაპები განხორციელდება სექტემბერიდან დეკემბრის ბოლომდე. აქტიური კლუბის შენარჩუნება არის ჩვენი მიზანი ხანგრძლივი ვადით.